საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 3 თებერვალი, 2022 წელი

დრო: 16:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“
4. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
5. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
6. მამუკა გვილავა - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
7. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
8. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
9. მანანა დევიძე - კავკასიის ეკოლოგია

განსახილველი საკითხები:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში ცვლილებების შესახებ და მესამე სამუშაო ჯგუფის პოზიცია - მომხსენებელი: ნინო ჩხობაძე
2. ქუთაისის საკომპოსტე ცენტრის შესახებ ინფორმაცია. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ასრულების ფარგლებში - მომხსენებელი - ქეთევან ცხაკაია
3. მესამე სამუშაო ჯგუფის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება
4. მოკლე ინფორმაციები EaP re-granting ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინეული საკითხები.

პირველ საკითხად, სამუშო ჯგუფის სხვედრაზე, განიხილეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში ცვლილებების შესახებ. ბატონებმა ისაუბრეს კოდექსის პრობლემურ ნაწილზე,გულისხმობს იმ ცვლილებას, რომელიც უკავშირდება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის ფუნქციის გადატანას „გარემოს ეროვნულ სააგენტოზე“. სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა აღნიშნულ საკითხზე პოზიციები დააფიქსირეს კომიტეტის სხდომაზე. მათი პოზიციით, აღნიშნული ცვლილება იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და შექმნის გაუმჭვირვალე პროცესებს, რაც სერიოზულ შეფერხებებს და ნეგატიურ გავლენებს გამოიწვევს არა მხოლოდ გარემოს დაცვის კონტექსტში, არამედ ასევე იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. შეხვედრაზე, განიხილეს ის მიმართულებები, რომელიც აღნიშნული ცვლილებით გადანაწილდება სამინისტროსა და სააგენტოს შორის. აღნიშნული საკითხი ეხება ინსტიტუციური მოწყობის თემებს. კომიტეტის სხდომაზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დაინტერესდნენ ფაქტით, თუ რამდენად იყო აღნიშნული ცვლილებების შესახებ ევროკომისიასთან კონსულტაციები გამართული.

შეხვედრაზე, ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ თავის მხრივ, ევროდელეგაციასა და ევროკომისიას მიაწოდებენ ინფორმაციას ამ ცვლილებასთან დაკავშირებით და კონსულტაციების შესახებ დაუსვამენ კითხვას.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქეთევან ცხაკაიამ, დააყენა ინიციატივა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის მუშაობის პროცესში, შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების პერიოდული ანგარიშების წარდგენა მოხდეს.

ქეთევან ცხაკაიამ მოკლე პრეზენტაცია წარმოადგინა ახლადგახსნილი ქუთაისის საკომპოსტე ცენტრის მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცენტრი აშენდა და აღიჭურვა შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში. პროექტით მთლიანად აშენდა საკომპოსტე ცენტრი, აღიჭურვა საჭირო ინვენტარითა და გექნიკით, ასევე მომსახურე პერსონალი აღიჭურვა სპეციალური ტანსაცმლით. ცენტრი მწვანე ნარჩენებზეა ორიენტირებული. არის მუნიციპალური საწარმო და მის მომარაგებას ახორციელებს ქუთაისის მუნიციპალიტეტი.

ჯგუფის შეხვედრაზე დამატებით ისაუბრეს იმ მიმართულებებზე, რომელიც აქტიურად იქნება განხილული 2022 წლის სამუშაო პერიოდში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე